GRASS FACTCHECK

GRASS
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 12
თარიღი: 14 03 2022 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40-ე მუხლით დადგენილ ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, 24 თებერვლიდან დღემდე, უკრაინის რამდენი მოქალაქე შემოვიდა საქართველოში? აქედან რამდენმა მოითხოვა ლტოლვილის/ჰუმანიტარული/დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი?
- 24 თებერვლიდან დღემდე, უკრაინის რამდენ მოქალაქეს მიენიჭა ლტოლვილის/ჰუმანიტარული/დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი? (გთხოვთ სტატისტიკური მონაცემები მოგვაწოდოთ ცალ-ცალკე);
- უკრაინის მოქალაქეებისთვის სტატუსის მინიჭება ხდება თუ არა დაჩქარებულად და რა ვადებში? ამასთან, შესაბამისი პროცედურები გამარტივდა თუ არა? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განგვიმარტოთ);
- არის თუ არა განსაზღვრული უკრაინის დაახლოებით რამდენი მოქალაქის მიღებას აპირებს საქართველო? რა ვადით მიენიჭებათ მათ ლტოლვილის/ჰუმანიტარული/დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი?
- სახელმწიფოს მხრიდან რა შეღავათებით/დახმარებით/სერვისებით სარგებლობენ/ისარგებლებენ უკრაინის მოქალაქეები, რომელთაც აქვთ/მიენიჭებათ ლტოლვილის/ჰუმანიტარული/დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი?

პატივისცემით,

Fatcheck.ge-ის რედაქტორი

მალხაზ რეხვიაშვილი

საკონტაქტო პირი:

თეონა აბსანძე (Fatcheck.ge-ის უფროსი ანალიტიკოსი)

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებელის 189
მობ: 598 77 54 04
ელ.ფოსტა: teonaabsandze@gmail.com